პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
პროგრამის მიზანია: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი საჯარო მმართველობის ბაკალავრების მომზადება, რომლებსაც ექნება ფართო ცოდნა საჯარო სამსახურის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ფორმების და მეთოდების, სახელმწიფო სტრუქტურების, ზოგადად მართვის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თანამედროვე ფორმების და სისტემების თაობაზე, კრიტიკული გააზრებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებისთვის.
სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული) **აღწერს** საჯარო მმართველობის სფეროსა და თანამედროვე სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა და ფუნქციების, მართვის თეორიებისა და პრინციპების აქტუალურ საკითხებს; **განიხილავს** საჯარო სამსახურის ფუნქციონირების კომპლექსურ საკითხებს; **აანალიზებს** არსებული გამოწვევების შესაბამისად საჯარო მოხელის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელ პრინციპებს და საჯარო სამსახურის ფუნქციონირების აქტუალურ საკითხებს; **იღებს** მონაწილეობას საჯარო მმართველობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში ამ სფეროსათვის დამახასიათებელი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით; **ახორციელებს** საჯარო სამსახურში, კომერციულ და არასამთავრობო სექტორში მართვის თანამედროვე მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას; არსებული საწესდებო დოკუმენტებისა და ინსტრუქციების, აგრეთვე ხელმძღვანელის მითითების საფუძველზე სათანადო გადაწყვეტილებათა მისაღებად პროექტებისა და წინადადებების მომზადებასა და ანალიტიკურ საქმიანობას; პროფესიული ზრდის მიზნით **ადგენს** შემდგომი სწავლის საჭიროებებს და ახდენს მის პრაქტიკულ განხორციელებას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით; **აგროვებს** ინფორმაციას სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით საჯარო მმართველობის ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების მიმართ მოქალაქეთა დამოკიდებულებაზე მისი შემდგომი ანალიზისა და კორექტირების მიზნით; **აყალიბებს** დასკვნებს ზოგიერთი სოციალური პრობლემის გადასაწყვეტად და კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმით ეთიკის პრინციპების დაცვით ამზადებს პრეზენტაციებს; **ამზადებს** ორგანიზაციების წინაშე მდგარი გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ ანგარიშებს და აცნობს საჭირო ინფორმაციას კოლეგებსა და საზოგადოებას ქართულ და უცხოურ ენაზე თანამედროვე ინფორმაციული

ტექნოლოგიების გამოყენებით.

იზიარებს ზოგადსაკაცობრიო, აგრეთვე დარგში აღიარებულ ფასეულობებს და საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელების მნიშვნელობას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების პროგრამული ნაწილი შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან. შუალედური შეფასება თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმუმალური ქულაა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა – არანაკლებ 40.

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები

იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებ(ებ)ის კომპონენტ(ებ)ში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასება სასწავლო კურსის პროგრამის შესაბამისად (ჯამში არანაკლებ 30 ქულა), ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი დოკუმენტური მასალის სახით.

დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სტუ-ის ვებ გვერდზე: „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“

https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სავალდებულო სასწავლო კურსები	კრედიტი
1.	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	5
2.	ინგლისური B1.1	6
3.	ფილოსოფიის შესავალი	5
4.	ეკონომიკის საფუძვლები	5
5.	მდგრადი განვითარება	5
6.	კრიტიკული აზროვნების საფუძვლები	4
7.	ინგლისური B1.2	6
8.	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	4
9.	საჯარო მმართველობის საფუძვლები	5
10.	სოციალური პოლიტიკა	5
11.	ბიზნესის საფუძვლები	5
12.	ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლები	5
13.	ინგლისური B2.1	5
14.	საქართველოსა და საზღვარგარეთის საჯარო მმართველობის ისტორია	5
15.	დოკუმენტმცოდნეობა	5
	პოლიტიკა და სამართალი	5
16.	ინფორმაციული ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში	5
17.	ინგლისური B2.2	5
18.	საქალაქო მეურნეობის მართვა	5
19.	მოხელის პროფესიული ეთიკა	5
20.	ადმინისტრაციული მენეჯმენტი	5
21.	ქვეყანათმცოდნეობა	5
22.	კვლევის მეთოდების საფუძვლები	5
23.	პროექტის მენეჯმენტი	5
24.	გეოპოლიტიკა	5
25.	საქმიანი ურთიერთობები	5
26.	თანამედროვე მენეჯმენტი	5
27.	ადამიანური რესურსების მართვა	5
28.	საერთაშორისო საჯარო სამართალი	5

29.	ადგილობრივი თვითმმართველობა	5
30.	საჯარო - კერძო პარტნიორობა	5
31.	სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში	5
32.	გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე მეთოდები	5
33.	საჯარო მმართველობის ელექტრონული სისტემები	5
34.	სტრატეგიული მართვის საფუძვლები	5
35.	საწარმოო პრაქტიკა საჯარო მმართველობაში	5
36.	პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ თვითმმართველობაში	5
37.	შესავალი ლოგისტიკაში	5
38.	ელექტრონული მთავრობა	5
39.	ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფია	5
40.	საბაკალავრო ნაშრომი	10
	არჩევითი საგნები	
41.	ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა	5
42.	პოლიტოლოგია	5
43.	დემოკრატია და მოქალაქეობა	5
44.	სოციოლოგია	5
45.	უცხოური ენა(გერმანული B 1.1/ ფრანგული B1.1/ რუსული B1.1)	5
46.	მიკროეკონომიკა II	5
47.	საჯარო მმართველობის ორგანოები	5
48.	მუნიციპალური სამართალი	5
49.	კორპორაციული მართვა	5
50.	ადამიანის ძირითადი უფლებები	5
51.	საჯარო მმართველობის სამართალი	5
52.	უცხოური ენა(გერმანული B 1.2/ ფრანგული B1.2/ რუსული B1.2)	5
53.	მაკროეკონომიკა II	5
54.	თავისუფალი კომპონენტი	5